ხელშეკრულება #99

დ. ქედა 15.06. 2023 წელი

ერთი მხრივ **ქედის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის **როლანდი ბერიძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ეტალონი-მედია“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის **მანანა ღოღობერიძის** სახით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2022 წლის 13 ივნისის #1750 განკარგულების (S**MP230001563**) თანახმად, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“ დისტანციურ რეჟიმში ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტისთვის და მასში ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა; CPV79952000

1.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დისტანციურ რეჟიმში განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 ივნისამდე, შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ თარიღსა და დროის პერიოდში.

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

2.1.1.მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

2.2.1. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.4.1. უზრუნველყოს დისტანციურ რეჟიმში გასამართად ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, დამუშავება-რედაქტირება, შესაბამის პორტალზე განთავსება;

2.4.2. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ რეჟიმში გასამართად შესაბამისი ვებ-პორტალი;

2.4.3 უზრუნველყოს კონკურსის მონაწილეებისათვის ონლაინ-სიგელების/დიპლომების მომზადება და შემსყიდველის სურვილის შემთხვევაში განათავსოს მათზე შემყიდველი მუნიციპალიტეტის სიმბოლიკა (ლოგო, გერბი ან სხვა);

2.4.4. შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს მიანიჭოს სისტემური წვდომის უფლება კონკურსის მიმდინარეობის და მისი შედეგების მონიტორინგის მიზნით;

2.4.5. ინტელექტუალური კონკურსის დისტანციურ ფორმატში ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის“ პრინციპით.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 3980 (სამი ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);

3.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდება კონკურსის ჩატარების შემდგომ, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.
3.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია: განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივლისამდე.
4.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;
6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების ორიგინალს და ინახება მხარეებთან.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

ქედის მუნიციპალიტეტი
მისამართი: დ. ქედა, მ. კოსტავას ქ. #3
საიდ. კოდი 246762061
საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ქედის ფილიალი; ბანკის კოდი LBRTGE22
ა.ა GE82LB0120111389440003;
მერი
როლანდი ბერიძე

Rolandi Beridze
Digitally signed by Rolandi Beridze
Date: 2023.06.15 11:42:12

მიმწოდებელი

შპს „ეტალონი-მედია“
მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N116, დიდუბე პლაზა, ოფისი N203
ს/კ 204572024
სს „ბანკი ქართუ“
ბანკის კოდი CRTUGE22
ა/ა GE08CR0030086101003608
დირექტორი
/მ.ღოღობერიძე/

Etaloni-Media LLC
Digitally signed by Etaloni-Media LLC
Date: 2023.06.15 12:20:30 +04'00'